ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5459607

ნომერი: AR1831840

თარიღი : 14.06.2021

გაცემის თარიღი : 21.06.2021

გაცნობის თარიღი : 28.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ძეგლევი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი მატინიანი პ/ნ 01411099396
- თბილისი ნიაბის IV შეს. N 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - თქვენს მიერ ატვირთულია ძველი, 29.03.2021 წ. AR1814024 განაცხადზე ატვირთული არსებული სიტუაციის ასმახველი ფოტომასალა. უნდა ატვირთოთ ახალი დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტიუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც დაფიქსირებული იქნება გადაღების თარიღი.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - ატვირთეთ დღეის მდგომარეობით გადაღებულ ფოტოზე დამუშავებული მონტაჟი და ასევე, მონტაჟზე დაიტანეთ სარეკლამო ბრის პროცენტულობა ციფრებში ასახული.

3. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება -> ..მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი" - ბრის მოწყობაზე ფართის მესაკუთრის თანხმობა მისაღებია. მაგრამ ასევე წარმოდგენილია ფართის მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, ამდენად გაუგებარია ვის აქვს საპროექტო სამუშაოების ინტერესი, განმარტეთ ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს გოლდ, წარმოდგენილ იქნეს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ფართის მიმართ იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, გაითვალისწინეთ ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ასევე, "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

4. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" - მეტი თვალსაჩინოებისათვის დამატებით ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.